სტანდარტ დაზღვევა
საქართველო

ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევის ხელშეკრულება/პირობები STI/AUTO/01/13

ქ. თბილისი 11/11/2014

შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნტის თანახმად (CPV66500000)

მხარეები:

სს "სტანდარტ დაზღვევა საქართველო" (ს/კ: 204540274), მისი დირექტორის ნარიმან გურბანოვის სახით, (შემდგომში "მზღვეველი") ერთის მხრივ, სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი (ს/კ 206350312), წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით აზმაიფარაშვილის სახით (შემდგომში "დამზღვევი") მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს "მზღვეველის" თანხმობა "დამზღვევის" მიერ სადაზღვევო პრემიის სრულად ან პრემიის პირველი შენატანის გადახდისა და სადაზღვევო პოლისში შეთანხმებული გადახდის გრაფიკის დაცვის სანაცვლოდ, გაუწიოს "დამზღვევს", მის მიერ მიღებული სადაზღვევო წესების "დაზღვევის პირობების", წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ქონებრივი პასუხისმგებლობის ინტერესის დასაცავად სადაზღვევო მომსახურება;
წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული ნებისმიერი ცალკეული სადაზღვევო მომსახურების პირობები მოცემული იქნება "მზღვეველის" მიერ გაცემულ "სადაზღვევო პერიოდში", რომელიც "დაზღვევის პირობებსა" და წინამდებარე ხელშეკრულებასთან ერთად არეგულირებს დაზღვევის ცალკეულ ობიექტთან დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობას. ამასთანავე, "სადაზღვევო პოლისი" წარმოადგენს განხორციელებული დაზღვევის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც "დამზღვევს", მისი მიღების შემდგომ, აძლევს უფლებას სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურება;
დაზღვევის საგანი, დაზღვეული პირის ვინაობა, სადაზღვევო რისკი, დაზღვევის დასაწყისი და მისი ხანგრძლივობა, სადაზღვევო თანხის ოდენობა და სადაზღვევო შენატანის ოდენობა (მისი გადახდის პირობების ჩათვლით) განისაზღვრება უშუალოდ მხარეთა მიერ სადაზღვევო პოლისის და/ან წინამდებარე ხელშეკრულების მეშვეობით;
ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება გულისხმობს ნებაყოფლობით ავტომობილ(ებ)ის/ქონების დაზღვევის განხორციელებას. მითითებულ სახეობა(ებ)ში მხარეებს შორის განხორციელებული ყველა დაზღვევა რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მისი ძალაში შესვლისა და შეწყვეტის პირობები

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2014 წლის 11 ნოემბრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები:

მზღვეველი	დამზღვევი
სს "სტანდარტ დაზღვევა საქართველო" საიდენტიფიკაციო კოდი: 204540274 იურ. მისამართი: ქ. თბილისი, კანდელაკის №39 დირექტორი ნარიმან გურბანოვი _____	სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი საიდ. ნომერი: 206350312 მისამართი: ქ.თბილისი, ისანი-სამგორი/ქეთევან წამებულის გამზ.96 დირექტორი დავით აზმაიფარაშვილი _____

1.ტერმინთა განსაზღვრებანი:

ქვემოთ მოცემული ყველა განსაზღვრება ინარჩუნებს აღნიშნულ მნიშვნელობას ამ დოკუმენტის ნებისმიერ ნაწილში.

1.1 **მზღვეველი** – ს.ს სადაზღვევო კომპანია "სტანდარტ დაზღვევა საქართველო", რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა სადაზღვევო საქმიანობას;

1.2 **დამზღვევი (პოლისის მფლობელი)** - სადაზღვევო პოლისში მითითებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დებს სადაზღვევო ხელშეკრულებას მზღვეველთან და იხდის სადაზღვევო პრემიას;

1.3 **დაზღვეული** - სადაზღვევო პოლისში მითითებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა. დამზღვევი იმავდროულად შეიძლება იყოს დაზღვეული; ასევე მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევისას დაზღვეულად ითვლება დაზღვეული ავტოტრასნპორტის უფლებამოსილი მძღოლი და მისი მგზავრები.

1.4 **დაზღვევის ობიექტი** - დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს სადაზღვევო პოლისში ან/და მის დანართში მითითებული დამზღვევის/დაზღვეულის კანონიერ საკუთრებაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალება ან/და მის ცალკეულ ნაწილთან დაკავშირებული დაზღვეულის ქონებრივი ინტერესი, რომელიც დაკავშირებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების ფლობასთან, გამოყენებასა და განკარგვასთან;

1.5 **მოსარგებლე** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება; ავტოტრანსპორტის დაზღვევის სექციისათვის მოსარგებლე პირი მითითებული უნდა იყოს სადაზღვევო პოლისში.

1.6 **დაზღვევის ხელშეკრულება (სადაზღვევო პოლისი)** – მზღვეველსა და დამზღვევს შორის დაზღვევის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც შედგება წინამდებარე პირობების, სადაზღვევო განაცხადის და დაზღვევის სერთიფიკატისაგან. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი წარმოადგეს სადაზღვევი პოლისის განუყოფელ ნაწილს;

1.7 **დაზღვევის სერთიფიკატი** – მზღვეველის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია სადაზღვევო პოლისის პირობები;

1.8 **დაზღვეული ავტოტრანსპორტი** - კანონიერ მფლობელობაში არსებული და სადაზღვევო სერთიფიკატში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალება;

1.9 **სადაზღვევო განაცხადი** – მზღვეველის მიერ შედგენილი კითხვარი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დასაზღვევი ავტოტრანსპორტის, უფლებამოსილი მძღოლების და სხვა მზღვეველისთვის საინტერესო გარემოებების შესახებ, რომელიც მას საშუალებას აძლევს შეაფასოს რისკი, გამოითვალოს სადაზღვევო პრემიის ოდენობა და შეადგინოს დაზღვევის პირობები.

1.10 **სადაზღვევო შემთხვევა** – სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული შემთხვევა, რომლის შედეგაც გამოწვეული ზარალიც ექვემდებარება ანაზღაურებას მზღვეველის მიერ; მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევისას სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს დაზღვევის პერიოდში, დაზღვეული ავტოტრასნპორტის მართვის შედეგად მესამე პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობისათვის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანი, ხოლო მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევისას სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს დაზღვევის პერიოდში, დაზღვეული ავტოტრასნპორტის მართვის შედეგად გამოწვეული უბედური შემთხვევა, რომელსაც შედეგად მოყვება მძღოლისა ან მგზავრის სხეულის დაზიანება, გარდაცვალება.

1.11 **ნაწილობრივი ქურდობა/ძარცვა/ყაჩაღობა** - განიხილება ავტოსატრანსპორტო საშუალების კომპლექტაციაში არსებული აქსესუარების ან ცალკეული დეტალების ნაწილების ქურდობა, ძარცვა ან/და ყაჩაღობა, პოლისში მითითებული ლიმიტის ფარგლებში, ერთჯერადი ანაზღაურებით დაზღვევის პერიოდის განმავლობაში;

1.12 **აუდიო/ვიდეო სისტემებისა და აპარატურის ქურდობა/ძარცვა/ყაჩაღობა/დაზიანება** - განიხილება ავტოსატრანსპორტო საშუალებაში არამწარმოებლის მიერ დამონტაჟებული აუდიო/ვიდეო სისტემებისა და აპარატურის ქურდობა/ძარცვა/ყაჩაღობა; დაზიანება ავტოსაგზაო შემთხვევის დროს, ხანძრის, სტიქიური უბედურებებისა და მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების შედეგად, პოლისში მითითებული ლიმიტის ფარგლებში, ერთჯერადი ანაზღაურებით დაზღვევის პერიოდის განმავლობაში.

1.13 **სადაზღვევო თანხა/ანაზღაურების ლიმიტი** - სადაზღვევო პოლისში მითითებული თანხის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება;

1.14 **სადაზღვევო პრემია** – თანხა, რომელსაც იხდის დამზღვევი სადაზღვევი პოლისის შესაძენად.

1.15 **სადაზღვევო ანაზღაურება** –მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად გამოწვეული ზარალის ასანაზღაურებლად გაწეული თანხა;

Standard Insurance Georgia

1.16 დაზღვევის პერიოდი – სადაზღვევო პოლისში მითითებული დაზღვევის მოქმედების ვადა;

1.17 ტერიტორიული ფარგლები – პოლისში მითითებული ტერიტორია, რის ფარგლებში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევაც ექვემდებარება ანაზღაურებას; თუ სერთიფიკატში სხვა რამ არ არის მითითებული დაზღვევის მოქმედება ვრცელდება საქართველოს, კავკასიის (რუსეთის ფედერაციის გამოკლებით) და თურქეთის ტერიტორიებზე დამგარ სადაზღვევო შემთხვევეზე;

1.18 უფლებამოსილი მძღოლი – სადაზღვევო პოლისში მითითებული პირი/ები, რომელიც უფლებამოსილია მართოს დაზღვეული ავტოტრანსპორტი და რომლის ასაკიც აღემატება 21 წელს,(თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული)

1.19 ავტოსაგზაო შემთხვევა – საავტომობილო გზაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობისას და მისი მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლიც დროსაც დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება, ტვირთი, ნაგებობა, დაშავდა ან დაიღუპა ადამიანი;

1.20 ფრანშიზა - თანხა, რომელიც წინასწარ არის განსაზღვრული სადაზღვევო პოლისში და არ ექვემდებარება ანაზღაურებას მზღვეველის მიერ. ფრანშიზა გამოიქვითება ასანაზღაურებელი ზარალის თანხიდან და წარმოადგენს დამზღვევის მონაწილეობას რიკში;

1.21 მესამე პირი - ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომლის ჯანმრთელობა ან ქონება დაზიანდა დაზღვეული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის შედეგად, გარდა უშუალოდ დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლისა და მგზავრების;

1.22 შესაძლებლობების შეზღუდვა - არის დაავადების, ტრავმის, ანატომიური ან გონებრივი დეფექტის შედეგად გამოწვეული ადამიანის ჯანმრთელობის მოშლა ორგანიზმის ფუნქციის მყარი დარღვევით, რაც განაპირობებს ქმედითუნარიანობის დროებით ან მუდმივ შეზღუდვას;

1.23 წინამდებარე პირობებში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სხვა ტერმინებიც, რომელთა განმარტებაც არ არის მოცემული. თუ ასეთი ტერმინების გაგება იქნება არაერთგვაროვანი, სხვადასხვა ინტერპრეტაციას შორის უპირატესობა მიენიჭება საქართველოს საკანონმდებლო წესით განსაზღვრულ მნიშვნელობას, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში საერთაშორისო პრაქტიკით გათვალისწინებულ მნიშვნელობას.

1.24 სადაზღვევო დაფარვა:

დამზღვევის მიერ არჩეული სადაზღვევო დაფარვა მითითებულია პოლისში. წინამდებარე პირობებით სადაზღვევო დაფარვა გაყოფილია სამ სექციად:

- **"CASCO" - ავტოტრანსპორტის დაზღვევა I სექცია;**
- **"MTPL" - მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა II სექცია**
- **"MPA" - მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა III სექცია.**

I სექცია - ავტოტრანსპორტის დაზღვევა

1. პოლისის ამ სექციით დაზღვევის ობიექტია:

1.1 დაზღვევის პერიოდში დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაკარგვა, ფიზიკური დაზიანება ან განადგურება, რომელიც გამოწვეული იქნება:

- ავტოსაგზაო შემთხვევით;
- ავტოტრანსპორტის ქურდობა, ყაჩაღობით, ძარცვით;
- ხანძრით, აფეთქებით;
- მესამე პირთა მართლსაწინააღმრდეგო ქმედებით, ვანდალიზმით;
- საგნების ვარდნით;
- სტიქიური მოვლენებით (გარდა მიწისძვრისა და სეტყვისა).

Standard Insurance Georgia

1.2 დამატებითი პრემიის გადახდით ამ სექციით შესაძლებელია ასევე დააზღვიოთ:

- მიწისძვრით და სეტყვით მიყენებული დაზიანება ან განადგურება ფრანშიზის გათვალისწინებით. ამ რისკებით გამოწვეული ზარალის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში გაიცემა მხოლოდ ერთხელ და ანაზღაურების ლიმიტი არ უნდა აღემატებოდეს დაზღვეული ავტოტრანსპორტის სადაზღვევო თანხის 50%-ს;
- დამატებითი აუდიო მოწყობილობების დაზღვევა (ნულოვანი ფრანშიზით) - სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში გაიცემა მხოლოდ ერთხელ და ანაზღაურების ლიმიტი არ უნდა აღემატებოდეს 3,000 აშშ დოლარს.
- მინების, სარკეების და აქსესუარების ცალკეული დაზიანება/ქურდობა (ნულოვანი ფრანშიზით) – სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში გაიცემა მხოლოდ ერთხელ და ანაზღაურების ლიმიტი არ უნდა აღემატებოდეს 1,500 აშშ დოლარს.
- პუნქტში 1.2 ჩამოთვლილი დამატებითი დაფარვის შესაბამისი ანაზღაურების ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში შესაძლებელია ანაზღაურების ლიმიტის აღდგენა დამატებითი პრემიის გადახდის საფუძველზე, სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ.

2. სადაზღვევო ანაზღაურება და განსაკუთღებული პირობები:

2.1 სადაზღვევო ანაზღაურების მზღვეველი გასცემს უნაღდო ანგარიშწორების გზით;

2.2 მზღვეველს უფლება აქვს სრულ ზარალად აღიაროს შემთხვევა, როდესაც ავტოტრანსპორტის აღდგენის ღირებულება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შეადგენს ავტოტრანსპორტის სადაზღვევო ღირებულების 70%-ს ან მეტს ან ავტოტრანსპორტი გატაცეულია და ვერ ხერხდება მისი პოვნა;

2.3 თუ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდგომ სადაზღვევო თანხა არ იქნა აღდგენილი, მაშინ სადაზღვევო თანხა მცირდება უკვე ანაზღაურებული თანხის ოდენობით;

2.4 იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად გამოწვეული ზარალი აღემატება ავტოტრანსპორტის სადაზღვევო თანხის 40%-ს, მაშინ პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში მზღვეველს უფლება აქვს მოთხოვოს დამზღვევს დაფაროს წლიური სადაზღვევო პრემია სრულად, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველს უფლება აქვს არ აანაზღაუროს ზარალი ამ თანხის დაფარვამდე;

2.5 იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო თანხა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისათვის ნაკლებია ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებაზე, ანუ ადგილი აქვს არასრულ დაზღვევას, ასეთ შემთხვევაში ზიანი ანაზღაურდება იმ პროპორციით, რა პროპორციულ სხვაობაშიც არის ზიანის მომენტისათვის სადაზღვევო თანხა ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაზრო ღირებულებასთან მიმართებაში;

2.6 დაკარგული ან დაზიანებული აქსესუარებისათვის ზარალის ანაზღაურება მოხდება სადაზღვევო შემთხვევამდე ამ აქსესუარების საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით, მაგრამ არაუმეტეს პოლისში მითითებული მისი ქველიმიტისა;

2.7 თუ დაზღვეული ავტოტრანსპორტი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ვერ გადაადგილდება საკუთარი სვლით, მზღვეველი უზრუნველყოფს მის გადაყვანას შემკეთებელ პუნქტამდე;

2.8 იმ შემთხვევაში თუ დაზიანებული ავტოტრანსპორტი გადაყვანილი იქნება მზღვეველის მიერ მითითებულ შემკეთებელ პუნქტში, მაშინ დამზღვევი გადაიხდის მხოლოდ ფრანშიზით გათვალისწინებულ თანხას, ხოლო დანარჩენი ხარჯები ანაზღაურდება მზღვეველის მიერ;

2.9 იმ შემთხვევაში თუ დამზღვევს არ სურს მზღვეველის მიერ შეთავაზებულ შემკეთებელ პუნქტში დაზიანებული ავტოტრანსპორტის გადაყვანა, მაშინ ავტოტრანსპორტი გადაყვანილ იქნება დამზღვევის მიერ შერჩეულ პუნქტში და ზარალის თანხა მზღვეველის მიერ ანაზღაურდება საშუალო საბაზრო ფასების გათვალისწინებით შედგენული კალკულაციის საფუძველზე;

2.10 სრული ზარალის შემთხვევაში მზღვეველი გადაიხდის ზარალის მომენტისათვის დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებას ფრანშიზის, უკვე ანაზღაურებული თანხების (თუ ასეთი არსებობდა და შემდგომში სადაზღვევო თანხა არ იქნა აღდგენილი) და გადაუხდელი პრემიის ნაწილის გამოკლებით, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა;

2.11 სრული ზარალის გადახდის შემდეგ სადაზღვევო პოლისის მოქმედების ვადა წყდება.

2.12 შრული ზარალის შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია დაზიანებული ავტოტრანსპორტის აღდგენა, მზღვეველი ანაზღაურებას გასცემს ავტოტრანსპორტის ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, ან

2.13 ანაზღაურების გაცემის შემდგომ საკუთრების უფლება აღნიშნულ ავტოტრანსპორტზე გადაეცემა მზღვეველს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესამამისად.

2.14 თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისათვის ავტოტრანსპორტი დაზღვეულია ასევე სხვა სადაზღვევო პოლისით (ორმაგი დაზღვევა), მაშინ მზღვეველის წილი ზარალში გამოითვლება სადაზღვევო დაფარვის მთლიან მოცულობაში მზღვეველის მიერ გაცემული პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო თანხის წილის პროპორციულად, არაუმეტეს მის მიერ გაცემული სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხისა თუ ანაზღაურების ლიმიტისა. ორმაგი დაზღვევის დროს მზღვეველების მიერ ასანაზღაურებელი ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს ზარალის თანხის ოდენობას;

2.15 დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების იჯარით გადაცემის, გაქირავების ან გასხვისების შემთხვევაში დამზღვევის უფლებები და მოვალეობები გადადის მეიჯარეზე, დამქირავებელზე ან შემძენზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამის შესახებ დაუყონებლივ ეცნობა მზღვეველს, წინააღმდეგ შემთხვევაში სადაზღვევო პოლისი ითვლება ძალადაკარგულად და მზღვეველი თავისუფლდება ზარალის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

2.16 დამზღვევი/მოსარგებლე უფლებამოსილია, თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დაზღვეული ავტომობილის ასაკი არ აღემატება 4(ოთხ) წელს, მისი შეფასება შეკეთება მოითხოვოს შესაბამის სერვის ცენტრში.

standard insurance Georgia

3. რა არ ექვემდებარება ანაზღაურებას:

3.1 ზარალი როდესაც დაზღვეული ავტოტრანსპორტის გატაცების ან ქურდობის დროს ავტოტრანსპორტში ან ავტოტრანსპორტზე დატოვებული იყო გასაღები ან/და მისი ტექნიკური პასპორტი ან/და დაწეული იყო მინები ან/და ღია იყო კარი;

3.2 ნებისმიერი სახის ზარალი, როდესაც დაზღვეულ ავტოტრანსპორტს მართავდა არაუფლებამოსილი მძღოლი;

3.3 დაზღვეული ავტოტრანსპორტის გატაცება ან ფიზიკური დაზიანება გამოწვეული დამზღვევის ან დაინტერესებული მესამე მხარის თაღლითური ქმედებით;

3.4 დაზღვეული ავტოტრანსპორტის გაუფასურება, ამორტიზაცია, ცვეთა, მექანიკური და ელექტრო სისტემების გაუმართაობა;

3.5 ზარალი გამოწვეული მექანიკური ან ელექტროსისტემების მწყობრიდან გამოსვლით, ასევე კომპიუტერისა და პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის დაზიანებით, თუ ეს არ არის გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით;

3.6 კომპიუტერული სისტემების მწყობრიდან გამოსვლა არასადაზღვევო შემთხვევის შედეგად;

3.7 საბურავების დაზიანება, თუ ეს არ არის გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევით ან/და ვანდალიზმით;

3.8 ავტომობილის შეკეთების შედეგად წარმოქმნილი ხარჯები;

3.9 ნებისმიერი სახის სარემონტო ხარჯი, რომელიც გაწეული იქნება ავტოტრანსპორტის სადაზღვევო პერიოდამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;

3.10 ნებისმიერი სარემონტო ხარჯი, რომელიც გაწეული იქნება დაზღვევამდე არსებული მიზეზების გამო;

3.11 ინტერიერის, სავარძლების, შალითების და ხალიჩების ცალკეული დაზიანება თუ ეს დაზიანება არ არის გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით;

3.12 ტენტების, სალონის საფარი ბრეზენტების ცალკეული დაზიანება თუ ეს არის გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით;

3.13 მიწისძვრით და სეტყვით გამოწვეული ზარალი თუU დამატებით არ არის დაზღვეული ეს რისკები;

3.14 არასაავტომობილო გზებზე მოძრაობით გამოწვეული საბურავების ცალკეული დაზიანება;

3.15 სავალი ნაწილის, ტრანსმისიის, ძრავის ცალკეული დაზიანება, რომელიც არ არის გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით;

3.16 შემოსავლის დაკარგვით გამოწვეული ზარალი, მივლინების ხარჯები, მორალური ზიანი, ჯარიმის თანხები;

3.17 რეაქტიული თვითმფრინავის ან სხვა საფრენი აპარატით წარმოქმნილი ტალღით გამოწვეული ზიანი;

3.18 ავტოტრანპორტის შეკეთების შედეგად წარმოქმნილი გაუფასურება;

3.19 საკეტების გამოცვლის შედეგად გაწეული ხარჯები, ავტოტრანსპორტში არსებული ნივთების დაკარგვის ხარჯები;

II სექცია - მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა

1. პოლისის ამ სექციით დაზღვევა ფარავს:

1.1 დაზღვეული ავტოტრანსპორტის უფლებამოსილი მძღოლის პასუხისმგებლობას აანაზღაუროს მის მიერ სადაზღვევო პერიოდში დაზღვეული ავტოტრანსპორტის მართვის შედეგად მესამე პირთა:

- გარდაცვალებით ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანით გამოწვეული ხარჯები;
- მესამე პირთა ქონებისათვის მიყენებული ზიანით გამოწვეული ხარჯები.

2. სადაზღვევო ანაზღაურების წესები და განსაკუთრებული პირობები

2.1 იმ შემთხვევაში თუ უფლებამოსილი მძღოლის მიერ დაზღვეული ავტოტრანსპორტის მართვის შედეგად მესამე პირისათვის მიყენებული სხეულის დაზიანება გამოიწვევს მის გარდაცვალებას, მაშინ დაზღვევითY გათვალისწინებული პირობები გავრცელდება მის სამართალმემკვიდრეზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

2.2 სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა სავალდებულო დაზღვევით მიღებული თანხების ზევით ასეთის არსებობის შემთხვევაში;

2.3 ერთი შემთხვევით გამოწვეული ზიანი მზღვეველის მიერ განხილული იქნება როგორც ერთი სადაზღვევო შემთხვევა, არცერთ პირს არ აქვს უფლება ორჯერ ან მეტჯერ მიიღოს ანაზღაურება ერთდაიმავე ზიანისათვის;

2.4 მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი თანხა, შემთხვევების რაოდენობის მიუხედავად არ შეიძლება აღემატებოდეს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულ ანაზღაურების ლიმიტს, ასევე ნებიემიერი ქვე-ლიმიტის არსებობის შემთხვევაში ასანაზღაურებელი თანხა იზღუდება ამგვარი ქვე-ლიმიტის გათვალისწინებით;

2.5 იმ შემთხვევაში თუ ერთი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზარალდება რამოდენიმე პირი და დაკისრებული პასუხისმგებლობის ოდენობა ჯამურად სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სრული ანაზღაურების ლიმიტზე მეტია, მაშინ თითოეული დაზარალებული პირის მიმართ ანაზღაურება მოხდება პროპორციული მეთოდის გამოყენებით, ანუ მისი ზარალის წილის შესაბამისად საერთო ზარალში;

2.6 სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის აღიარება ან გაღება უნდა მოხდეს მხოლოდ მზღვეველთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველს უფლება აქვს არ აანაზღაუროს ზარალი;

2.7 სადაზღვევო ანაზღაურებას მზღვეველი გასცემს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან სასამართლოს გარეშე;

standard insurance Georgia

2.8 იმ შემთხვევაში თუ ზიანის ანაზღაურება ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მაშინ მზღვეველი სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში აანაზღაურებს:

- თანხას, რომლის გადახდასაც დააკისრებს სასამართლო სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ უფლებამოსილ მძღოლს;
- სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებულ ყველა იურიდიულ ხარჯს თუ ეს ხარჯები გაწეულ იქნება ზარალის დარეგულირებისათის.

2.9 იმ შემთხვევაში თუ ზიანის ანაზღაურება ხდება სასამართლოს გარეშე, მაშინ მზღვეველი სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში აანაზღაურებს:

- მესამე მხარის ქონების სრული განადგურებისას ქონების საბაზრო ან აღდგენით ღირებულებას ნარჩენების ღირებულების გამოკლებით;
- მესამე მხარის ქონების ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში, დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად საჭირო შეკეთებისა და სარემონტო ხარჯებს.
- მესამე მხარის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მიყენებული ზიანისას იმ შემოსავლის ოდენობას, რომელსაც დაზარალებული პირი ვერ მიიღებს შრომისუნარიანობის ნაწილობრივი ან სრული დაკარგვის გამო, არაუმეტეს მიე მიერ ხუთი წლის მანძილზე მიღებული ჯამური შემოსავლისა. ყველა სახის შემოსავალი უნდა იქნას დადასტურებული დოკუმენტალურად;
- დაზარალებული მესამე პირის სამკურნალოდ საჭირო თანხებს;
- მესამე მხარის გარდაცვალების ან ქმედითუნარიანობის შეზღუდვის შემთხვევაში, რომელიც იქნება მკვეთრად გამოხატული მზღვეველი აანაზღაურებს ხუთი წლის მანძილზე მიღებული ჯამური შემოსავლის ოდენობას. ყველა სახის შემოსავალი უნდა იქნას დადასტურებული დოკუმენტალურად.

2.10 ამ დაზღვევით მზღვეველი ასევე აანაზღაურებს იმ ხარჯებს რომელიც გაწეულ იქნა მესამე პირის სიცოცხლის ან/და მისი ქონების გადასარჩენად ასევე ზიანის შესამცირებლად გაწეულ მიზანშეწონილ ხარჯებს, მაგრამ არაუმეტეს ქველიმიტის 20%-სა;

3. რა არ ექვემდებარება ანაზღაურებას:

3.1 უფლებამოსილი მძღოლის ან დაზღვეულ ავტოტრანსპორტში მყოფი მგზავრების გარდაცვალება, სხეულის დაზინება ან მათი ქონებრივი ზიანი;

3.2 მესამე პირის ქონებრივი ზიანი, როდესაც ეს ქონება გადაიტანებოდა დაზღვეული ავტოტრანსპორტით ან იმყოფებოდა დამზღვევის მეთვალყურეობის ქვეშ;

3.3 ნებისმიერი სახის ზიანი ან დაზიანება, რომელიც გამოწვეული იქნება უფლებამოსილი მძღოლის განზრახ ქმედებით;

3.4 ნებირმიერი სახის ზიანი ან დაზიანება, როდესაც ავტოტრასპორტი გამოიყენებოდა აკრძალულ ტერიტორიებზე;

3.5 სადაზღვევო შემთხვევის მოხდენიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდეგ მესამე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით ან გარდაცვალებით გამოწვეული ხარჯები;

3.6 პასუხისმგებლობა, რომელიც წარმოიშვება ნებისმიერი სხვა სახის კონტრაქტის საფუძველზე;

3.7 ნებისმიერი სახის ჯარიმები ან მორალური ზიანი;

3.8 ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში, მზღვეველი ზარალს აანაზღაურებს სოლიდარული პრინციპის საფუზველზე, მთლიან ზარალში მისი პასუხისმგებლობის მოცულობის პროპორციულად.

III სექცია – მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა

1. პოლისის ამ სექციით დაზღვევა ფარავს:

1.1 იმ მატერიალურ ზიანს, რომელიც გამოწვეული იქნება დაზღვეული ავტოტრასპორტით მგზავრობისას ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად უფლებამოსილი მძღოლის და/ან მისი მგზავრების გარდაცვალებით ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის დაზიანებით/ქმედითუნარიანობის შეზღუდვით, რაც გამოვლინდება უბედური შემთხვევის მოხდენიდან ერთი თვის განმავლობაში;

1.2 უბედურ შემთხვევად ითვლება შემთხვევა, რომელიც მოხდება სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში და გამოიწვევს უფლებამოსილი მძღოლისა და/ან მისი მგზავრების ჯანმრთელობის დაზიანებას/ქმედითუნარიანობის შეზღუდვას ან გარდაცვალებას.

1.3 დაზღვეული ადგილების რაოდენობა ავტოტრანსპორტში არ შეიძლება აღემატებოდეს დაზღვეული ავტოტრასნპორტის ტექნიკურ მონაცემებში მითითებულ ადგილების მაქსიმალურ რიცხვს;

2. სადაზღვევო ანაზღაურება და განსაკუთრებული პირობები:

2.1 სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დადასტურების შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა თითოეულ დაზარალებულ პირზე პოლისით განსაზღვრული ქველიმიტის ფარგლებში, ხოლო სრული სადაზღვევო ანაზღაურება არ უნდა ამ აღემატებოდეს ამ სექციის ანაზღაურების საერთო ლიმიტს;

2.2 იმ შემთხვევაში თუ მთლიანი ზარალის ოდენობა აღემატება პოლისით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ლიმიტს, მაშინ ანაზღაურება თითეული დაზარალებული პირისათვის მოხდება პროპორციულად, ანუ მისი ზარალის წილის შესაბამისად საერთო ზარალში;

Standard Insurance Georgia

2.3 მზღვეველი აანაზღაურებს:

- დაზარალებული მძღოლის ან მზგავრის სამედიცინო დაწესებულებამდე მიყვანის და **პირველადი** გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობის ხარჯებს, შესაბამისი სამედიცინო ქვითრების საფუძველზე, მაგრამ არაუმეტეს 500 აშშ დოლარისა ერთ დაზარალებულ პირზე;
- სამედიცინო დაწესებულებაში ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობის და ყოფნის ხარჯებს, შესაბამისი სამედიცინო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის საფუძველზე, მაგრამ არაუმეტეს ერთ პირზე დადგენილი ქველიმიტისა.
- ქმედითუნარიანობის შეზღუდვის შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ქმედითუნარიანობის შეზღუდვის სიმძიმის გათვალისწინებით, დაზარალებულის სამკურნალოდ გაწეული ხარჯების გამოკლებით, ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით:

ქმედითუნარიანობის შეზღუდვის ხარისხი	ფიქსირებული ლიმიტი/ანაზღურების ლიმიტის %
გარდაცვალება	100%
მსუბუქად გამოხატული	35%
ზომიერად გამოხატული	50%
მნიშვნელოვნად გამოხატული	75%
მკვეთრად გამოხატული	100%
18 წლის ასაკამდე მგზავრებისათვის მათი ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში, მზღვეველი ანაზღაურების გაცემისას არ ითვალისწინებს ქმედითუნარიანობის ხარისხებს (იქნება ის მსუბუქად, ზომიერად, მნიშვნელოვნად თუ მკეთრად გამოხატული), ვინაიდან დაზარალებულ პირს ენიჭება კატეგორია "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი" და ანაზღაურება მზღვეველის მიერ გაიცემა სრულად ქველიმიტის ფარგლებში.	100%

2.4 დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში მზღვეველი აანაზღაურებას ერთ პირზე დადგენილი ქველიმიტის 100%-ს, დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის სამკურნალოდ გაწეული ხარჯების გამოკლებით. ანაზღაურება გაიცემა დაზარალებულის სამართალმემკვიდრეებზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

2.5 თუ დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში მას არ ყავს სამართალმემკვიდრე, მაშინ მზღვეველი აანაზღაურებს მხოლოდ დაკრძალვის ხარჯებს განსაზღვრული ქვე-ლიმიტის ფარგლებში.

3. რა არ ექვემდებარება ანაზღაურებას:

3.1 არ ანაზღაურდება დაზღვეული ავტოტრანსპორტის უფლებამოსილი მძღოლისან მგზავრების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ან გარდაცვალება, თუ ასეთი შემთხვევა დადგება ავტოსაგზაო შემთხვევის მომენტიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდეგ;

3.2 მორალური ზიანი.

<u>საერთო პირობები- სექცია I, სექცია II, სექცია III</u>

1. საერთო გამონაკლისები:

1.1 ქვემოთ ჩამოთვლილი გამონაკლისები ძალაშია წინამდებარე პირობების ყველა ზევით გასაზღვრული სადაზღვევო დაფარვისათვის და ეხება მთლიან დაზღვევის ხელშეკრულებას.

1.2 მზღვეველი არ აანაზღაურებს ზარალს იმ შემთხვევაში თუ:

- დაზღვეული პირი არღვევს დაზღვევის ხელშეკრულების პირობებს;
- დაზღვეულს ავტოტრანსპორტს მართავდა არაუფლებამოსილი მძღოლი, ან პირი რომლის ასაკიც ნაკლებია 21 წელზე (თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული), თუმცა ეს არ ვცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც დაზღვეული ავტოტრანსპორტი მოპარულია ან გატაცებულია;
- თუ დაზღვეულ ავტოტრანსპორტი მართვისას იმყოფებოდა არაგამართულ მგდომარეობაში ან არ გამოიყენებოდა იმ დანიშნულებით, რაც მითითებულია სადაზღვევო პოლისში;
- დაზღვეულ ავტოტრანსპორტში გადატვირთულია ან/და მგზავრთა რაოდენობა აღემატება დასაშვებ ნორმას ან გამოიყენება არასაგზაო პირობებში;
- დაზღვეული ავტოტრანსპორტს მართავდა უფლებამოსილი მძღოლი, რომელიც იმყოფებოდა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან პსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ;
- ზარალი გამოწვეულია უფლებამოსილი მძღოლის თვითმკვლელობით ან თვითმკვლელობის მცდელობით;
- ზარალი გამოწვეულია უფლებამოსილი მძღოლის განზრახ ქმედებით;
  ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტოტრაპორტით სხვადასხვა სახის რბოლებში მონაწილეობითი და/ან ავტოტრანსპორტის გამოსაცდელი ტესტირებით;
- ზარალი გამოწვეულია საგზაო მოძრაობის წესების განზრახ უხეში დარღვევით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ამგვარი დარღვევა აუცილებელია მესამე პირის ქონების და/ან სიცოცხლის გადასარჩენად;
- ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტოტრანსპორტის აეროდრომის ან აეროპორტისტერიტორიაზე ყოფნისას;
- ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტოტრანსპორტის საპროექტო ან კონსტრუქციული წუნით.

Standard Insurance Georgia

1.3 ასევე არ ანაზღაურდება ზარალი ან დაზიანება გამოწვეული:

- იონიზირებული რადიაციით ან რადიოაქტიური დაბინძურებით;
- ატომური/ბირთვული ნივთიერებით, გარემოს დაბინძურებით;
- რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა საშიში ნივთიერებების ტრანსპორტირებით;
- ომით, მიუხედავად იმისა ომი გამოცხადებულია თუ არა, სამოქალაქო ომით, სახალხო არეულობით, სამოქალაქო მღელვარებით, აჯანყებით, რევოლუციით, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით;
- ტერორიზმის აქტით ან მისი მცდელობით;
- ადგილობრივი ან სახელმწიფო ორგანოების მიერ კონფისკაციით, დაკავებით, დაპატიმრებით;
- უზურპირებული ან სამხედრო ხელისუფლების მოსვლის შედეგად;

2. სადაზღვევო თანხა/ანაზღაურების ლიმიტი:

2.1 სადაზღვევო თანხა, ანაზღაურების ლიმიტი არის მზღვეველსა და დამზღვევს შორის შეთანხმების შედეგად სადაზღვევო პოლისში განსაზღვრული ფულადი თანხის ოდენობა, მზღვეველის პაუსხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას;

2.2 სადაზღვევო პოლისში ასევე შესაძლოა დადგენილ იქნას ქველიმიტი, თითოეული რისკისათვის, თითოეული პირისათვის ან თითოეული შემთხვევისათვის.

2.3 სადაზღვევო თანხა/ანაზღაურების ლიმიტი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მცირდება გადახდილი ზარალების თანხის ოდენობით თუ არ მოხდება მათი აღდგენა დამატებითი პრემიის გადახდის საფუძველზე;

3. სადაზღვევო პრემია და მისი გადახდის წესები:

3.1 სადაზღვევო პრემია წარმოადგენს თანხას, რომელსაც დამზღვევი იხდის სადაზღვევო პოლისის შესაძენად.

3.2 სადაზღვევო პრემიის გადახდა ხორციელდება ერთჯერადად, ან განსაზღვრული პერიოდულობით. პრემიის ოდენობა, მისი გადახდის გრაფიკი და სხვა არსებითი პირობები მითითებულია სადაზღვევო პოლისში;

3.3 მზღვეველი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან სადაზღვევო პრემიის ან მისი პირველი შენატანის გადახდამდე;

3.4 სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში დამზღვევს დაერიცხება პირგასამტეხლო, დავალიანების თანხის 0.2%-ის ოდენობით თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე;

3.5 თუ დამზღვევი პრემიის გადახდის ვადას გადააცილებს 14 კალენდარული დღით, მაშინ მზღვეველს უფლება აქვს შეაჩეროს სადაზღვევო პოლისის მოქმედება დამზღვევისათვის შეტყობინების გაგზავნის გარეშე და უარი თქვას იმ პერიოდში მომხდარი ზარალის ანაზღაურებაზე რომელზეც არ არის გადახდილი პრემია;

4. დაზღვევის ხელშეკრულება (სადაზღვევო პოლისი) და მისი მოქმედების ვადა

4.1 დაზღვევის ხელშეკრულების დადებამდე დამზღვევი ვალდებულია შეავსოს მზღვეველის მიერ შედგენილი განაცხადი. განაცხადი და მასში მოყვანილი ინფორმაცია წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულების (სადაზღვევო პოლისის) განუყოფელ ნაწილს;

4.2 სადაზღვევო სერთიფიკატის გაცემა ადასტურებს დაზღვევის ხელშეკრულების დადებას მხარეებს შორის;

4.3 დაზღვევის ხელშეკრულების ორივე მხარე ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულების პირობები. მზღვეველი თავისუფლდება ზარალის ანაზღაურების პასუხისმგებლობისაგან თუ დამზღვევი არ იცავს ხელშეკრულების პირობებს;

4.4 სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში სადაზღვევო სერთიფიკატის ან პოლისის დაკარგვის შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია წერილობითი სახით აცნობს მზღვეველს ამის შესახებ, რის შემდეგაც მზღვეველი გასცემს სადაზღვევო სერთიფიკატის ან პოლისის დუბლიკატს, ხოლო დაკარგული სერთიფიკატი ან პოლისი ცხადდება ძალადაკარგულად;

4.5 დამზღვევი ვალდებულია წერილობითი სახით შეატყობინოს მზღვეველს რისკის შესახებ ნებისმიერი სახის ცვლილება (ავტომობილის გასხვისება, უფლებამოსილი მძღოლების ჩამონათვალის შეცვლა, ან ნებისმიერი სხვა გარემოება რომელმაც შესაძლოა გაზარდოს სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის ალბათობა ან/და ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა);

4.6 დაზღვევის ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი სახის ცვლილება უნდა აისახოს სადაზღვევო პოლისში ან მის დანართში; ასეთ შემთხვევაში მზღვეველს უფლება აქვს მოითხოვოს პრემიის გადაანგარიშება და სადაზღვევო პირობების გადახედვა ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანამდე;

4.7 ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მოწოდების ვალდებულება მოქმედებს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ან მზღვეველის მიერ ზარალის საბოლოო დარეგულირებამდე, და არ შემოიფარგლება მხოლოდ რისკის ხარისხის შეფასებისთვის აუცილებელი ინფორმაციით, არამედ მოიცავს სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის და/ან მზღვეველის ვალდებულებების წარმოშობასთან დაკავშირებულ ინფორმაციასაც.

4.8 თუ სადაზღვევო სერთიფიკატში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული სადაზღვევო ხელშეკრულება იდება ერთი (1) წლის ვადით;

4.9 დაზღვევის ხელშეკრულება ძალაში შედის სადაზღვევო სერთიფიკატში მითითებული თარიღის პირველი დღის 24 საათიდან და მოქმედებს სერთიფიკატით გათვალისწინებული ვადის ბოლო დღის 24 საათამდე, თუ სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

4.10 დაზღვევის ხელშეკრულების ვადამდე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. შეტყობინება გაგზავნილ უნდა იყოს შეწყვეტამდე არაუგვიანეს 14 დღით ადრე;

standardinsurance.ge

4.11 ხელშეკრულების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში ნებისმიერი სახის საკომისიო დაკავშირებული სერთიფიკატის გაცემასთან, ამგვარის არსებობის შემთხვევში არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას;

4.12 თუ დაზღვევის ხელშეკრულება ვადამდე ადრე წყდება დამზღვევის ინიციატივით და შეწყვეტის მიზეზი მოტივირებულია, მაშინ დამზღვევის უკან დაუბრუნდება დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის შესაბამისი პრემიის ნაწილი დარჩენილი პრემიის 15%-ის გამოკლებით;

4.13 თუ დაზღვევის ხელშეკრულება ვადამდე ადრე წყდება მზღვეველის ინიციატივით, მაშინ დამზღვევს გადახდილი პრემიიდან უკან დაუბრუნდება დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის შესაბამისი პრემია, დარჩენილი პრემიის 10%-ის გამოკლებით;;

4.14 თუ სადაზღვევო ხელშეკრულება ვადამდე ადრე წყდება და სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მზღვეველის მიერ ანაზღაურებულია ზარალი, მაშინ ხელშეკრულების გაუქმებისას პრემია უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება;

4.15 დამატებითი ვადისა და წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე ადრე შეიძლება შეწყდეს შემდეგ გარემოებებში:

- სადაზღვევო სერთიფიკატით განსაზღვრული სადაზღვევო თანხის/ანაზღაურების ლიმიტის ამოწურვისას თუ არ მოხდა მისის აღდგენა დამატებითი პრემიის გადახდის საფუძველზე;
- პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში, გადახდის ვადის გადაცილებიდან 14 კალენდარული დღის გასვლის შემდგომ;
- სადაზღვევო რისკი შეწყვეტს არსებობას ნებისმიერი გარემოების გამო, გარდა სადაზღვევო შემთხვევისა;
- დაზღვეული ავტოტრანსპორტის გასხვისებისას;

4.16 დაზღვევის ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან ერთმანეთს წერილობითი სახით აცნობონ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებში ცვლილებების შესახებ ახალი რეკვიზიტების სრული მითითებით.

4.17 წინამდებარე ხელშეკრულება/პირობებზე ხელმოწერით დამზღვევი/დაზღვეული აცხადებს თანხმობას, რომ მზღვეველი უფლებამოსილია, ამავე ხელშეკრულება/პირობების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევის ფარგლებში დამდგარი ნებისმიერი შემთხვევის შესახებ ინფორმაცია ასახოს შპს „სადაზღვევო-საინფორმაციო ბიუროს“ საინფორმაციო ბაზაში და ხელმისაწვდომი გახადოს სხვა სადაზღვევო კომპანიებისათვის;

4.18 წინამდებარე ხელშეკრულება/პირობებზე ხელმოწერით დამზღვევი (დაზღვეული, მოსარგებლე) ასევე აცხადებს თანხმობას, რომ მზღვეველი უფლებამოსილია, ყოველგვარი დამატებითი თანხმობის გარეშე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზიდან, მიიღოს ინფორმაცია დამზღვევის/დაზღვეულის მიერ საგზაო მოძრაობის სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევების შესახებ

5. ზარალების შეტყობინება და სადაზღვევო ანაზღაურება:

5.1 სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დამზღვეული ვალდებულია:

- დაუყონებლივ გამოიძახოს საპატრულო პოლიცია შემთხვევის ადგილზე და საპარტულო პოლიციის მოსვალმდე მიიღოს ყველა ზომა შემთხვევის ხდომილების სახის შესანარჩუნებლად;
- დაუყონებლივ აცნობოს მზღვეველს მომხდარი შემთხვევის შესახებ სადაზღვევო სერთიფიკატში მითითებულ ნომერზე, ხოლო მომდევნო სამი (3) სამუშაო დღის განმავლობაში მიაწოდოს მზღვეველს წერილობითი შეტყობინება მომხდარის შესახებ(აღნიშნული ვადა შესაძლებელია გაზდილი იქნას პატივსადები მიზეზების გამო);
- საპატრულო პოლიციის გამომახების ვალდებულება წინამდებარე პირობების მიხედვით არ ეკისრება დამზღვევს დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის მომენტში საქარე მინი(ების), გვერდითი მინ(ებ)ის ან სხვა მსხვრევადი ნაწილების (მაშუქი ფარდ, დამატებითი მაშუქი ფარი და სხვა) ასხლეტილი ქვით, კენჭით ან საგნით დაზინების შემთხვევაში, როდესაც ზარალის სავარაუდო ოდენობა არ აღემატება 2000 ლარს. მზღვეველს (ზარალების მენეჯერს) უფლება აქვს მოითხოვოს საპარტულო პოლიციის გამოძახება საეჭვო გარემოებების არსებობის შემთხვევაში;
- მიაწოდოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით გაცემული ყველა საჭირო დოკუმენტი/ცნობა, დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლის სიფხიზლის დამადასტურებელი ცნობის ჩათვლით და ითანამშრომლოს მასთან ზარალის გამომწვევი მიზეზებისა და ოდენობის დადგენაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება;
- მიიღოს ყველა ზომა ზარალის შესამცირებლად, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაუგდებლად;
- ხელი შეუწყოს მზღვევლს და მზღვეველის მიერ ანაზღაურების გაცემის შემდგომ გადასცემს მზღვეველს რეგრესის უფლება ზარალის გამომწვევი მესამე პირების მიმართ;
- არ დაიწყოს ავტოტრანსორტის შეკეთება, სანამ მზღვეველის წარმომადგენელი არ დაათვალიერებს ავტოტრანსპორტს;
- ზარალის ოდენობის განსაზღვრის მიზნით საშუალება მისცეს მზღვევლს ჩაატაროს დამოუკიდებელი ექსპერტიზა;
- გადასცეს მზღვეველს ან მის წარმომადგენელს უფლება წარმოადგინოს დამზღვევი/დაზღვეული პირი სასამართლო პროცესში, ყველა პროცესუალური უფლებამოსილებით და უფლება აწარმოოს მოლაპარაკებები დაზარალებულ პირებთან ან მათ წარმომადგენლებთან;
- მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე არ აიღოს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა ზარალის ანაზღაურებაზე;

Standard Insurance Georgia

5.2 სადაზღვევო ანაზღაურება:

- სადაზღვევო შემთხვევის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ მზღვეველი დაუყონებლივ ერთვება ზარალის დარეგულირების პროცესში და უწევს დამზღვევს/დაზღვეულს შესაბამის დახმარებასა თუ კონსულტაციას ზარალის მართვის პროცედურების შესახებ;
- სადაზღვევო ანაზღაურების გაცემამდე, მზღვეველს უფლება აქვს მოითხოვოს დამზღვევისგან სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა სახის დოკუმენტი თუ ცნობა, ასევე გადაამოწმოს დაზღვეული ავტოტრანსპორტის საინდენტიფიკაციო კოდი. თუ დაზღვეული ავტოტრანსპორტის მახასითებლები არ ემთხვევა მისი საინდენტიფიკაციო კოდის შესაბამის მახასიათებლებს, მაშინ მზღვეველს უფლება აქვს არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება;
- გადაწყვეტილებას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შესახებ იღებს კომიტეტი სადაზღვევო აქტის საფუძველზე, რომელიც იკრიბება კვირაში ერთხელ;
- სადაზღვევო აქტს მზღვეველი ადგენს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;
- სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა სადაზღვევო აქტის ორივე მხარის მიერ ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;
- ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის შედეგად გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევის დროს სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა სამართალდამცავი ორგანოებიდან სათანადო დოკუმენტაციის სრულად მიღების საფუძველზე, მიღებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში,.
- მზღვეველს უფლება აქვს უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურებაზე, თუ დამზღვევი არ შეასრულებს დაზღვევის პირობებით დაკისრებულ ვალდებულებებს, ან რაიმე სახით ეცდება გააყალბოს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაცია ან უარს იტყვის ითანამშრომლოს მზღვევლთან სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით;
- სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარი და უარის თქმის მიზეზი დამზღვევს წარედგინება წერილობითი ფორმით.

6. ინფორმაციის კონფიდენციალობა და დავების გადაწყვეტა

6.1 დამზღვევისა და მზღვეველის მიერ ერთანეთისათვის მიწოდებული ინფორმაცია წარმოადგენს კომერციულ ფასეულობას, ითვლება კონფიდენციალურად და წინასწარი შეთანხმების გარეშე არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს, თუ ეს დაკავშირებული არ არის დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებასთან ან საქართველოს მოქმედიდი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებთან;

6.2 დაზღვევის ხელშეკრულების გარშემო წარმოშობილი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი სასამართლოს მიერ.

Standard Insurance Georgia